

№ 2

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო,
იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის**

2019 წელი, 29 ივლისი

ქ.ოზურგეთი

14.00-15.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ე.გორდელაძე - მუდმივმომქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: გ.ჩავლეშვილი, ვ.ბერიძე, ბ.დოლიძე,
გ.კილაძე, თ.ბურჭულაძე, ვ.ნიჟარაძე, ლ.ნინიძე,
შ.გოგიბერიძე, გ.ჩაგანავა,

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაციისა და მერიის დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

მომხს: ე.გორდელაძე

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს მოახსენა, რომ საკითხი გაგზავნილი იყო მთავრობის სამართლებრივი ზედამხედველობის დეპარტამენტში, საიდანაც ჩამოვიდა საკონსულტაციო დასკვნა- მომქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მერიის რეორგანიზაციის თაობაზე მუნიციპალიტეტის მერი საკუთარი ინდივიდუალური-სამართლებრივი აქტით დებულობს გადაწყვეტილებას და არ ესაჭიროება საკრებულოს თანხმობა, რაც შეეხება მერიის დებულებას მასში შეტანილ უნდა იქნას შესაბამისი ცვლილება, გამომდინარე აქედან კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად არ მიიჩნიეს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანა, რის თაობაზეც ეცნობება საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას.

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

1. დამტკიცდეს კომისიის დასკვნა(თან ერთვის) და მიზანშეუწონლად იქნას მიჩნეული მერიის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტის „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაციისა და მერიის დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანა.

2. კომისიის დასკვნა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას.

ეროდი გორდელაძე

კომისიის თავმჯდომარე
სამანდატო,საპროცედურო,იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია

